

ნესტან კუტივაძე (საქართველო)

შიო არაგვისპირელის ნოველების გენდერული ასპექტები

გენდერი, რომელიც გრამატიკული ტერმინიდან იქცა სოციალურ-კულტურულ კონსტრუქტად, დღეს საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ამასთანავე, აქტუალური მეცნიერული პრობლემაა და მისი შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს სოციალური, ფილოლოგიური, ეკონომიკური, ბიოლოგიური თუ სხვა პოზიციებიდან. გენდერული თეორიები მეოცე საუკუნეში მნიშვნელოვნად გაღრმავდა, რასაც საფუძველი შეუქმნა სიმონ დე ბოვუარის, ლევი-სტროსის, ფროიდის, ჟან ლაკანისა და სხვა ცნობილი მეცნიერების კვლევებმა. ეს ნაშრომები მოიცავს როგორც ფილოსოფიურ, ანთროპოლოგიურ, ასევე ფსიქიოლოგიურ თუ ისტორიულ ასპექტებს, აჩვენებს თავად ამ საკითხის სირთულესა და მრავალწახნაგოვნებას, რაც განპირობებულია იმით, რომ ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში ქალისა და მამაკაცის როლური მოდელების, სტერეოტიპების წარმოქმნა მჭიდროდ დაუკავშირდა თავად ამავე საზოგადოების ფასეულობებსა და კულტურულ ტრადიციებს.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქალისა და მამაკაცის სოციალური ფუნქციების აღქმა დაკავშირებული იყო ქალის, როგორც სუსტის, მზრუნველის, დედის, ხოლო მამაკაცის, როგორც ძლიერის, მფარველის, წინამძღოლის ხატებთან. როგორც უილიამ გ. როი აღნიშნავს, „დომინანტურმა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა სულ უფრო მეტად ჩააყენა ქალი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, ხოლო მამაკაცს მეტი ძალაუფლება მიანიჭა“ (როი 2007: 13). მამაკაცებისა და ქალების ისტორიული როლების ამგვარი დეტერმინირებულობა ავლენს მასკულიზმისა და ფემინიზმის ბინარულობას, ამ ოპოზიციის ორგანულად წინააღმდეგობრივ ბუნებას.

ქალთა მდგომარეობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკასა და ევროპაში. ამავე დროიდან შეგვიძლია გავადევნოთ თვალი საქართველოშიც გენდერული ვითარების შესახებ მსჯელობას, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიბერალური შეხედულებების გავრცელებას, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ-საგანამანათლებლო ცვლილებებს მოჰყვა. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თემას თავის პუბლიცისტურ წერილებში განიხილავენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწე-

ები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ., ეხმაურებიან და ეკამათებიან ევროპელ მოაზროვნეებს, საზოგადოების წინსვლაში ქალისა და მამაკაცის როლს თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ და ამ მხრივ არსებულ მძიმე რეალობასაც კრიტიკის საგნად აქცევენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალთა ემანსიპაციის საკითხი უშუალოდ დაუკავშირდა ქალთა განათლებას. ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ქართველი მოღვაწეები თანხმდებოდნენ, რომ განათლებას უნდა დაფუძნებოდა პიროვნული თავისუფლება. ზოგადად, ამ პრობლემებზე წერისას ქართველ პუბლიცისტთა და მწერალთა ნააზრევში კარგად იჩინა თავი იმ სირთულეებმა, რომელიც ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გააქტიურებისას წამოიჭრებოდა. ქართველ მოღვაწეებს არასამართლიანად მიაჩნდათ, რომ მამაკაცებსა და ქალებს ერთნაირი უფლებები არ გააჩნდათ, მაგრამ აქვე ხაზს უსვამდნენ მამაკაცებისათვის დაკისრებული მოვალეობების სიმძიმეს, ქალებს პასიურობის გამო საყვედურობდნენ და თვლიდნენ, რომ ხშირად ისინი საოჯახო საქმეებსაც კი სათანადოდ ვერ უძღვებოდნენ (ჭავჭავაძე 1988: 59). ამგვარი წარმოდგენა უთუოდ არის მაშინდელი საზოგადოებრივი განწყობის გამოძახილი. შემთხვევითი არაა, რომ ილია ჭავჭავაძე წერილში „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ აქცენტს ზოგადად ადამიანის განათლებაზე აკეთებს. განათლება, ილიას აზრით, მამაკაცსაც და ქალსაც საკუთარი მოვალეობების, მოქალაქეობრივი ინტერესების, სახელმწიფოებრივი თუ საოჯახო ვალდებულებების უკეთ განსაზღვრაში ეხმარება (ჭავჭავაძე 1955: 371-374).

მრავალმხრივ საგულისხმოა სერგეი მესხის ცნობილი წერილი – „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“ როგორც პუბლიკაციიდან მკაფიოდ იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის იდეა ზოგადად მისაღებია და არავინ ეწინააღმდეგება, უშუალოდ ქალებისათვის არსებული ინერცია იოლი დასაძლევია არ არის. პუბლიცისტი მაშინდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გენდერული ცნობიერების შედეგად დამკვიდრებული სტერეოტიპის სიმძიმეზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც აღნიშნავს: „ჩვენ ისეთის თვალთ ვუყურებთ ქალებს, რომ მართლა იმათ ნახვის დროს, პირუტყვეული გრძნობის დაკმაყოფილებისა და არშიყობის მეტი აზრში არაფერი არ მოგვდის, საზარელია ამისთანა შეხედულება ქალების შესახებ, მაგრამ ამაში ჩვენი ქალებიც დამნაშავენი არიან“ (მესხი 1962: 97). XIX საუკუნის ამ ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის აზრით, მხოლოდ სამოქალაქო უფლებებს, განათლებასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუძლია შეცვალოს ქალის მიმართ ასეთი დამამცირებელი დამოკიდებულება. „სამივე ესენი

ისეთნაირად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, ისეთნაირად კუდი-კუდზე არიან გადაბმული, რომ ერთის უმეორისოდ შეძენა და მეორეს უმესამოთ – შეუძლებელი საქმეა“ (მესხი 1962: 93), – წერს სერგეი მესხი, რომელიც წინა პლანზე წამოსწევს გენდერული თანასწორობის პრობლემის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ფაქტორებთან.

ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა მოამზადეს ნიადაგი ქალთა ემანსიპაციისათვის. ამ მოვლენის მიმართ დამოკიდებულება არც საქართველოში ყოფილა ერთგვაროვანი. საპირისპირო ხედვის არსებობისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალთა მოძრაობა აქტიურდებოდა, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიოდა მეტი ქალი, რომელთა საქმიანობა სულ უფრო იქცეოდა ყურადღებას.

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული მიმოხილვა – „ჩვენი მწერლობა“, რომელშიც ავტორი საგანგებოდ ეხება და მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ქალების მიერ გამოცემულ თარგმნილი საკითხავი ლიტერატურის კრებულს. ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხატვრული ლიტერატურის როლს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაში და ქართველ ქალებს ურჩევს სამიჯნურო თემაზე შექმნილი ნაწარმოებები თარგმნონ, რადგან თვლის, რომ ამგვარი თხზულებები ეხმარებიან მამაკაცებს, დაძლიონ ცხოველური ინსტინქტები, ქალებს – მოიპოვონ პატივისცემა, შეცვალონ ოჯახის ცხოვრების წესი, ცოლ-ქმრის ურთიერთობა, შვილების ბედი. ამავე წერილში კარგად ჩანს საქართველოში ამ მხრივ არსებული მძიმე ვითარება. „(...) ჩვენში ცოლისა და ქალის მდგომარეობა ოჯახში, ყმაწვილების დამოკიდებულება, საზოგადოების ხასიათი და ჩვეულებები თითქმის იმავე მდგომარეობაშია დღეს, როგორშიაც იყო უცხო ქვეყნების საზოგადოება ამ რომანების გავრცელებამდის“ (ნიკოლაძე 1963: 47), – წერს კრიტიკოსი. ის გამოსავალს საუკეთესო რომანების, მათ შორის, ჟორჟ სანდის (რაც შემთხვევითი არა) თხზულებების, თარგმნაში ხედავს, მიიჩნევს, რომ ასეთი შინაარსის თხზულებები „კაცის გულს და ხასიათს აკეთილშობილებენ, სხვის მდგომარეობაში და გულში ჩახედვას, სხვის შებრალებას, და დახმარებას აჩვენენ საზოგადოებას და კაცისა და ქალის ხასიათს, გულს და მოსაზრებას“ (ნიკოლაძე 1963: 47), – წერს ცნობილი მოღვაწე, რომელიც ცდილობს გაათამამოს ქალები, გულწრფელად შეაქოს მათი შრომა, რადგან თვლის, რომ ეს უკანაკნელი დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას.

მხატვრული ლიტერატურა არამხოლოდ მონაწილეობს საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებაში, უპირველეს ყოვლისა, ის ინახავს ამ სა-

ზოგადოებისათვის დამახასიათებელ განწყობებს, შეხედულებებს, მოსაზრებებს, სხვადასხვა რაკურსით აღწერს მათს კონკრეტულ გამოვლინებებს, მრავლისმომცველ სურათს ქმნის ამა თუ იმ ეპოქის ხასიათის გასააზრებლად, არსის შესაცნობად.

ტრადიციულ, ხშირად ყალბი კლიშეებით მოცულ საზოგადოებაში ქალის სოციალური როლის ცვლილების გარდაუვალი და აუცილებლობით განპირობებული პროცესის სირთულე კარგად აჩვენა XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულმა ლიტერატურამ. ამ პერიოდის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში აისახა მაშინდელი სოციუმისათვის დამახასიათებელი ის სტერეოტიპები, რომლებიც ადამიანს სხვის ნებას დაქვემდებარებულ არსებად აქცევდა და ვერ ხედავდა მას, როგორც ინდივიდს. ასეთ ვითარებაში ქალის მიერ პიროვნული თავისუფლების მოპოვება, განათლებასთან ერთად, გაბედულებასაც მოითხოვდა.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ცნობილი პროზაიკოსი შიო არაგვისპირელი თანადროული სოციუმის ღირებულებებისაგან გამოფიტვას სხვადასხვა მხატვრული პლანით განასახივრებს და ყოველთვის ადამიანის არსთან, მისი ფსიქიკის შრეებთან აკავშირებს. ამგვარ ხედვაში თავსდება გენდერული საკითხიც, რომელსაც ხშირად მწერალი ქალთა დისკრიმინაციის საჩვენებლად იყენებს, ასევე, მორალური დილემის ქვაკუთხედადაც წარმოაჩენს, მაგრამ არასდროს ხედავს ცალმხრივად. მწერალი, ამ შემთხვევაშიც, მრავალი კუთხით ასახავს თავისი დროის სოციუმს, მასში მოქმედი არაერთი სტერეოტიპული შეხედულების არასამართლიან ბუნებას წამოსწევს წინ.

მწერლის ნოველებში გენდერული საკითხი რეპრეზენტირებულია რამდენიმე ასპექტით და მხატვრულად ასახავს მაშინდელ საზოგადოებაში არსებული, მყარად დამკვიდრებული შეხედულებების გავლენას ცალკეული ადამიანის ცხოვრებაზე.

ნოველაში „ახალწლის ღამეს“ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი მთლიანად წარმართავს მომაკვდავი გლეხის ფიქრს. ერთია საყოველთაო გასაჭირი და ამის გამო თანადგომის გარეშე დარჩენილი ოჯახი – „ყველას თავის თავი გასჭირვებია“, „ჩემს ქვრივსა და ობოლს ვინ მოუვლის!“ (არაგვისპირელი 1947: 16), მეორე კი – დაქვრივებული ქალის ხელახალი ქორწინება. „გიგოლას დაენანა დათმობა, გულს უკლავდა ის აზრი, რომ ჩემს სიკვდილს შემდეგ სხვა გახდება პატრონი ამ მშვენიერებისაო. „განა, – გაიფიქრა გიგოლამ, – მაგდანა სხვაზე გამცვლის?! ჩემს სიკვდილს შემდეგ სხვას დაუწყებს ხვევნას?! არა, მაგდანა ამას არ იზამს. მაგდანას ისე ვუყვარვარ, რომ სხვაზედ არ გამცვლის!..“ (არაგვისპირელი 1947: 16). ამ ფრაგ-

მენტიდან კარგად ჩანს, რომ ერთგულება სიკვდილის შემდეგაც ცოლქმრული ცხოვრების სავალდებულო ატრიბუტადაა ქცეული. „უნდოდა ხმა მიეცა მაგდანასათვის და ფიცი ჩამოერთმია, რომ ჩემს შემდეგ სხვას არ მისთხოვდეთ, მაგრამ ვერ ახერხებდა“ (არაგვისპირელი 1947: 16), – ამბობს მწერალი, თუმცა საყურადღებოა შემდეგი დეტალები: ერთი მხრივ, პიროვნული – მომაკვდავი გრძნობს, რომ ამის მოთხოვნის უფლება არ აქვს, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური აუცილებლობა, „თუ არ გათხოვდა, მაშ რითი ირჩინოს თავი, რითი გამოზარდოს ობოლი“ (არაგვისპირელი 1947: 17), – ეს არცთუ მთლად რიტორიკული კითხვა ის დამოკლეს მახვილია, რომლის გამოც ჯერ კიდევ ცოცხალი გიგოლა მეუღლის გათხოვებას გამართლებას უძებნის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალისათვის ფიცის ჩამორთმევის სურვილი, ამ შემთხვევაში, უგულვებელყოფს ქალის უფლებას, ბუნებრივ სწრაფვას ბედნიერებისაკენ, სიყვარულის კვლავ პოვნის შესაძლებლობას, რაც გულწრფელი სინანულისა და სევდის საგანი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო მომაკვდავი ქმრისათვის, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ხელმეორედ ქორწინება წარმოდგენილია, როგორც იძულებითი ნაბიჯი შვილის წინაშე პასუხისმგებლობის გამო. ამგვარ აზროვნებას მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც უდავოდ უწყობს ხელს.

პატრიარქალური კულტურა ქალს უმეტესად ხედავს, როგორც თავდადებულ დედას. ამ ტექსტშიც ამგვარ თავდადებას განასახოვნებს შვილის ინტერესების გამო ქორწინებაც ისევე, როგორც საკმაოდ გავრცელებული კლიშე და, ამავე დროს, ქართული მწერლობისათვის კარგად ნაცნობი ობლების არ/ვერ ღალატის კონტექსტი.

არაგვისპირელის ნაწარმოებებში კარგად იკვეთება, რომ საზოგადოებრივ განვითარებაში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ცხოვრების წესის ამა თუ იმ მოდელის ჩამოყალიბებასთან, განსხვავებული ამოცანების წინაშე აყენებთ ადამიანებს. არსებობისათვის ბრძოლაში ხშირად ქალი იძულებულია საკუთარი სხეულით გადაირჩინოს თავი, რაც მას ძალადობის მსხვერპლადაც აქცევს და ფიზიკურადაც ანადგურებს.

ნოველაში „მომილოცნია ახალი წელი“ ახალგაზრდობაში სასურველი მემავი ქალი ერთდროულად სასტიკი შურისმაძიებელი და თვითმკვლელი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ქალაქის მომხმარებელი საზოგადოების წინაშე პირისპირ დარჩენილი განწირული აღმოჩნდა ამავე საზოგადოებისაგან. მან კარგად იცის, რომ საკუთარი ცხოვრების წესი არ მოუტანს ბედნიერებას, მაგრამ ეს არაა მისი არჩევანი. „უმანკო, გამოუცდელ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უთვისტომო ქალს რა უნდა მომეგვარებინა? ყველას ენდობი, ყოველივე

სიმართლედ მიგაჩნია (...) იქამდე მიმიყვანეს, რომ ჩემ ხორცს, ხორცს ყიდვა დაუწყე... დახელოვნებულ ვაჭარსავით, ვფლიდობდი, ვთვალთმაქცობდი: ვეხვეოდი იმას, ვინც მძაგდა, ვიცინოდი, ვხარხარებდი, დავბტოდი და დავფუნდრუკობდი მაშინ, როდესაც მეტირებოდა“ (არაგვისპირელი 1947: 46), – მწერალი შემთხვევით არ უთმობს დიდ ყურადღებას ქალის განცდებს, პერსონაჟის მიმართ თანაგრძნობითაა გამსჭვალული, მისი აქცენტებიც საზოგადოების გულგრილობის ჩვენებას ემსახურება.

თვითმკვლევლობაში ხედავს გამოსავალს ნოველის „აბრეშუმის ცხვირ-სახოცი“ მთავარი გმირიც, რომელიც დედინაცვალმა მხოლოდ იმიტომ შეიკვდლა, რომ ფიზიკურად ლამაზი თამარი პროსტიტუციის საგნად ექცია და ამით ერჩინა თავი. ნოველაში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პლანია. თამარი თავს იკლავს, რადგან დარწმუნებულია, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მისთვის იძულებით თავს მოხვეული ცხოვრების წესის გამო არავინ შეიყვარებს, „რატომ თავი არ მოიკალი“ (არაგვისპირელი 1947: 41), – ასეთია ახალგაზრდა მამაკაცის პირველი რეაქციაც. მართალია, ის მალევე სიყვარულით უპასუხებს ქალის გრძნობას, მაგრამ მის გადარჩენას ვედარ შემღებს. საგულისხმოა, რომ ვაჟის პირველი რეაქცია იმდენად ბუნებრივად აღიქვა ქალმა, რომელსაც ეყო გამბედაობა, ესაუბრა გადატანილ ძალადობაზე, დამშვიდებაც არ აცალა თანამოსაუბრეს, ისე დალია საწამლავი, რაც მაშინდელი საზოგადოების გენდერული ცნობიერების გამოვლინებაა ასევე, თუმცა ვაჟის ქცევა, ამ მხრივ, აჩვენებს ამავე საზოგადოებაში გაჩენილ უკვე განსხვავებულ დამოკიდებულებას.

პროსტიტუცია, როგორც ბურჟუაზიული ქალაქის ყოფის ერთ-ერთი მახასიათებელი, მორალური თვალსაზრისით, იმდენად ღრმად დამკვიდრებული სტერეოტიპია პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომ ქალაქში ნამყოფობა, ასევე, მოახლეობა, ერთგვარი დამლაა, ქალთა სოციალური მარგინალიზაციის ფაქტურალური მიზეზია. „არაგვისპირზე გლეხი-კაცი ძნელად გაიყვანს თავის ქალს გარედ; თითქმის წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენს, თუ ქალი შეიძლება ქალაქს ჩაიყვანოს და მერე ის ქალი გლეხის ოჯახისათვის კიდევ გამოდგეს. გლეხი თავის ქალს ოჯახისთვის ზრდის. ჯერ იქვე, თავადიშილის ოჯახშიაც რომ იყოს, იმასაც გლეხის ახალგაზრდა ყმაწვილი არ ითხოვს. „ნამოახლარი გაწუწუებული იქნებაო!“ ასე იტყვის ამისთანა ქალზე და, აბა, ახლა ქალაქში წასულ ქალზე რაღას იტყვის! მგონი მაშინ „მათუშკაც“ დაუძახოს და „მათუშკა“ ხომ, იმისი ფიქრით, ბუდეა ყოველივე ცუდისა და უზნეობისა“ (არაგვისპირელი, 1947: 151), – წერს მოთხრობაში „დამმა“ არაგვისპირელი. გარდა იმისა, რომ ეს შეხედულებები მიმიე ტვირთად აწვება ადამიანების ფსიქიკას და, თავის მხრივ, არაერთ მცდარ გადაწყ-

ვეტილებას წარმოშობს, არც დამცველი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს, რაშიც ამ მოთხრობის გმირის მიერ გოგონას ქალაქში ჩაყვანა და სრულიად უცნობი ქალბატონისათვის აღსაზრდელად ჩაბარება ადასტურებს.

იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული გენდერული პრობლემის ერთ-ერთი მაჩვენებელია ქალის ქორწინებასთან დაკავშირებული ქცევის მოდელები, რომლებიც ხშირად მშობლების მზრუნველობის სახეს იღებს, მაგრამ თავისი არსით ღირსების შემლახველია, ზოგჯერ კი იმდენად ძალადობრივად შეიძლება იყოს, რომ ქალის თვითმკვლელობის მიზეზი გახდეს. ნოველის „ადამიანი“ მთავარი გმირი ამბობს „(...) აკი მამა-ჩემი მწერდა: ელომ თავი მოიწამლა, რადგანაც ძალით სხვაზე ჯვარი უნდა დაეწერათო...“ (არაგვისპირელი 1947: 78), – ასეთი რემარკით მწერალი იძულებითი ქორწინების ტრაგიკულ შედეგს უსვამს ხაზს.

ზოგადად, ქალის ქორწინებასთან დაკავშირებული გროტესკული სურათი ქართული ლიტერატურისათვის უცხო არაა, მაგრამ არაგვისპირელი მაინც ახერხებს განსხვავებული პლანით ასახოს ის საჩოთირო მდგომარეობა, რომელშიც ახალგაზრდები აღმოჩნდებიან ხოლმე. ნოველა „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ კარგად აჩვენებს ახლობლებისა თუ კეთილის მსურველების მიერ შექმნილ ამგვარ დამამცირებელ ატმოსფეროს.

თხზულებაში შვილების დაქორწინება მშობლების ისეთივე მოვალეობადაა წარმოსახული, როგორც პატარა ბავშვზე მზრუნველობა, რაც თავისთავად გამორიცხავს ქალის გრძნობებისათვის არათუ ანგარიშის გაწევას, ასეთი განცდების არსებობის დაშვებასაც კი, მეტიც, ქალის გრძნობები, სიმპატია-ანტიპატია დაუკითხავად ხდება ხმამაღალი განსჯის საგანი. „(...) – დაიცათ, ჯერ ქალაქში გადავსახლდეთ, მაშინ ნახავთ, როგორ სულ დაწკეპილ აფიცრებს მივათხოვებ. ენაცვალოს დედა ჩემს სონას, შარშან რომ ჯარმა აქეთ გაიარა, აფიცრებზე დარჩა თვალი და ერთი ამოიოხრა, რომ... – კარგი ერთი!.. – წაჰბუზღუნეს თავ-ჩალუნულმა ქალებმა დედას და საჩქაროდ მეორე ოთახში გაცვივდნენ. – ეი, ეი, რას გარბიხართ? შეგრცხვათ, რომ თქვენი სურვილი დედამ გაგიმჟღავნათ?! – სიცილით მიაძახა ლევანმა ქალებს. – ძალიან მორცხვები არიან, ენაცვალოთ დედა! – სიამოვნებით წამოიძახა ბაბემ“ (არაგვისპირელი 1947: 114).

ამ უწყინარი დიალოგის მიღმა, რა თქმა უნდა, ქალისათვის ძალზე შეურაცხყოფელი ვითარებაა აღწერილი, მიუხედავად ამისა, მას არ მოჰყვება მცირე პროტესტიც კი. ტექსტის მიხედვით, ასეთ დროს წარმოშობილი უხერხულობა მორცხვი ღიმილით იფარება. ამ ასპექტის აქცენტირება ხაზს უსვამს ქალის დაბალ სოციალურ სტატუსს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალები ხშირად თავად მონაწილეობენ ქორწინებასთან დაკავშირებული სტერეოტი-

პების დამკვიდრებაში. სიმორცხვე მოცემულ ეპიზოდში ქალის მორალური სიწმინდის მარკერია, რომელიც დედას სიამოვნებას ანიჭებს და საერთოდ ვერ გრძნობს საკუთარი შვილების დამამცირებელ მდგომარეობას.

მატიარქატის დასრულების შემდგომ, დროთა განმავლობაში, მკვეთრად შეიზღუდა და გამოიკვეთა ქალისა და მამაკაცის ფუნქციები. „საკუთარი ეზო, ან უბანი ქალისათვის ერთადერთ სამყაროდ იქცა. განათლების აკრძალვა, ქალწულობის ინსტიტუტი, მკაცრი ეტიკეტი, გონებრივი და ზნეობრივი არასრულფასოვნების დასაბუთება – მძლავრი საშუალებები იყო პატერნალიზმის კვარცხლბეგის განსამტკიცებლად“ (გოგსაძე 2005: 200). პატრიარქალური ყოფის ეს მარკერები მყარი და დროში გამძლე აღმოჩნდა და არაერთი ფორმით იჩენდა თავს, მას შემდეგაც, რაც ქალთა განათლების შეზღუდვამ აქტუალურობა დაკარგა და ქალის გონებრივი შესაძლებლობებიც ეჭვის ქვეშ თითქოს აღარ იდგა.

დაბალი გენდერული ცნობიერების მაჩვენებელია ქალის, როგორც გონიერი პიროვნების, უგულვებელყოფა და მხოლოდ მისი ფიზიკური სილამაზის აღიარება, რაც ერთ-ერთი უნივერსალური გენდერული კლიშეა. არაგვისპირელის შემოქმედებაში მწერლის თანადროული საზოგადოების სტერეოტიპული წარმოდგენები ზოგჯერ ცალკეული ფრაზებშია არეკლილი. ნოველის „ჰარამხანის სურათი“ გმირი, სოლომონი, სამსახურში „ჩქარაც შევიდა თავის დედიდა მარიამის წყალობით, რომელიც ფრიად განთქმული იყო (ჭკუით და გონებით-კი არა, ამ თვისებით თბილისში დედაკაცი ძნელად გაითქვამს სახელს), თავისი სილამაზით“ (არაგვისპირელი 1947ა: 63), – ამ ეპიზოდში საყურადღებო სწორედ თავად მწერლის მიერ ფრჩხილებში ჩასმული, ვითომ სხვათა შორის, ნათქვამი ფრაზაა იმის შესახებ, რომ ქალისთვის გაცილებით იოლია საკუთარი სილამაზის წყალობით დაიმკვიდროს თავი, ვიდრე გონიერებით. ეს ირონიანარევი შეხედულება ერთდროულად საკმაოდ რთულად შესაცვლელ ვითარებასაც ასახავს და ამგვარი შეხედულებების მქონე საზოგადოების კრიტიკასაც გულისხმობს.

ცალკე უნდა გამოიყოს ნოველა „ვაი ჩვენი ბრალიც!..“ მასში არაგვისპირელი მიზანმიმართულად წამოჭრის გენდერული თანასწორობის პრობლემას და სტერეოტიპების რღვევის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. ნოველა მხატვრული რეფლექსიაა ქალისა და მამაკაცის ქცევის ზოგიერთ განსაზღვრულ მოდელზე, რომელიც მწერლის დროინდელ საზოგადოებაში არსებულ მორალურ კლიშეებს მიემართება.

ქორწინების წინ საქმრო (დათოკო) საცოლეს (ლიზა) სთხოვს წარსულზე უამბოს, რადგან ქალი აღმზრდელად მუშაობს სხვის ოჯახში, რაც მაშინდელ საზოგადოებაში ქალისათვის მორალური დამლაა. „– (...) მე კარგად

ვიცი, რომ შენ სხვის ოჯახში აღმზრდელად ხარ და კიდევაც ეგ მაფიქრებს. (...) რა ვიცი, იქნება თავი ვერ შეიმაგრე და შეგაცდინა ვინმემ...“ (არაგვისპირელი 1947: 128), – დათიკოს მიერ საკითხის ასე დასმა თავისთავად დამნაშავეს პოზიციაში აყენებს ქალს და აიძულებს თავი იმართლოს. მიუხედავად იმისა, რომ ქალს გაცნობიერებული აქვს, რამდენაც შეურაცხმყოფელია შეკითხვა, მაინც მთელი სერიოზულობით პასუხობს: „(...) რომ შემცდარვყავი და უმანკობა დამეკარგა, განა აქამდის არ გეტყობდი? თუ ვინმე შემაცდენდა, ჩემის მხრით ამ შეცდენას სიყვარული ედებოდა სარჩულად და მერე ამის შემდეგ შენ ესე განუსაზღვრელად შემიყვარდებოდი, როგორც ეხლა მიყვარხარ?!“ (არაგვისპირელი 1947: 128), – ეუბნება ლიზა. ცნობილია, რომ ტრადიციულ კულტურაში „ქალწულობა“ მორალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე ნორმაა, რომელიც თავისი ღრმა ფესვებით ეკლესიურ-ორთოდოქსულ შეხედულებებთანაა დაკავშირებული. ახალგაზრდა ქალის აქცენტი, რომ მხოლოდ სიყვარული შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი, რაც თავისთავად გამორიცხავდა ახალი გრძნობის გაჩენას, სწორედ მორალურ-ფსიქოლოგიური წნეხის მკაფიო გამოვლინებაა.

მწერალი აღწერს ვითარებას, რომელიც გაცხადებულად თუ ფარულად, თუმცა ჩამოყალიბებული ჩვეულების შესაბამისად, ქორწინების დროს წამოიჭრება და აბსოლუტურად განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს ქალსა და მამაკაცს. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ლიზა განათლებული ახალგაზრდა ქალია. ეს მას გაბედულებას აძლევს, კითხვა შეუბრუნოს ვაჟს. „–მე რომ მკითხავ, რატომ შენ თავზე-კი არას მეტყვი? შენც ჩემსავით პირნათლად შეგიძლიან შეხვდე ჩვენს ცოლ-ქმრობას?!“ (არაგვისპირელი 1947: 128), – ამ პასაჟით, ფაქტობრივად, პროზაიკოსი ქალისა და მამაკაცის მიმართ არსებული ორმაგი მორალის, მაშინდელ საზოგადოებაში სოციალურ-ეთიკურ ნორმად ქცეული გენდერული სტერეოტიპის წინააღმდეგ ილაშქრებს, მით უფრო, რომ კიდევ უფრო სტერეოტიპულია დათიკოს პასუხი – „ვაჟებს მაგნაირ კითხვას არ აძლევენ. ვაჟებს ცოდვად არ უთვლიან იმას, რაც ქალისთვის მომაკვდინებელი ცოდვაა...“ (არაგვისპირელი 1947: 129), რაც მკაფიოდ ავლენს საზოგადოებაში, ამ მხრივ, არსებულ ქალისა და მამაკაცის ქცევის მისაღებ და მიუღებელ მოდელებს, რომლებიც, მწერლის აზრით, უნდა შეიცვალოს. „ვაჟებს აქვთ ნება მოსთხოვონ ქალს სიწმინდე და ქალს კი არა! რისთვის? რისთვის? განა დრო არ არის, ვაჟებსაც ის მოეთხოვებოდეს, რაც ქალებს?! არა, წმინდასთან წმინდამ უნდა დაიჭიროს კავშირი!“ (არაგვისპირელი 1947: 129), – ამბობს ლიზა. საყურადღებოა, რომ მწერალს სათაურადაც შერჩეული აქვს ლიზას სიტყვები: „ვაი ჩვენი ბრალიც!“ ავტორი ამგვარად რეფლექსირებს თავისი დროისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხ-

ზე, რათა გაარღვიოს ქალისა და მამაკაცის მიმართ არათანასწორი დამოკიდებულება, ცდილობს ქალის პერსპექტივიდან აჩვენოს არათანაბარი გენდერული მოდელის უსამართლო ბუნება.

საგულისხმოა, რომ ფსიქოლოგიური ნოველის ოსტატი არაგვისპირელი ქალის განცდებზე აპელირებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საჩოთირო ვითარებაში ჩავარდნილ გმირს ხატავს. სოფიო, მოთხრობის „და-ძმა“ ერთ-ერთ პერსონაჟი, სრულებით ვერ გაუმკლავდა ცდუნებას, რომლის წინაშეც უნებლიეთ აღმოჩნდა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ვერ წარმოიდგენდა, თუ ნიკო „ნათელმირონობას დაჰგმობდა“ (არაგვისპირელი 1947: 182), ამასთან, ვერ გააცნობიერა საკუთარი განცდები. „სოფიოსთვის ეს გრძნობა სულ უცნობი იყო. ის აგერ ოცდაორი წლის დედაკაცი გახდა და ჯერ ამისთანა გრძნობა არ გამოუცდია. ამისათვის იყო, რომ მას ვერ გამოეცნო ეს წყურვილი და ასე გადარეულიყო“ (არაგვისპირელი 1947: 185), – გვეუბნება მწერალი. ტექსტის მიხედვით, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში თავისი წილი აქვს მძიმე შრომისაგან დაღლილ ქმარს. ის თავის მოვალეობას ოჯახის გამოკვებაში ხედავს მხოლოდ და რამდენიმე სააღერსო სიტყვის თქმასაც კი ვერ ახერხებს ქალისათვის. „ქიტუასაც, რომ სამაგიეროდ ხვევნა და კოცნა დაეწყო, იმასაც რომ ალერსით გულში ჩაეკრა, იქნება სოფიოს ყველაფერი ეამბნა, შეხვეწნოდა, რომ ეშველნა რამ, მაგრამ ქიტუა ვერ მიხვდა ამას...“ (არაგვისპირელი 1947: 186), – რაც სოციალური ყოფის სიმძიმითაცაა გამოწვეული, თუმცა გამამართლებელი ვერ იქნება სასიყვარულო სამკუთხედის ვერც ერთი წევრისათვის.

თუ „და-ძმაში“ ადამიანის ცხოვრებაზე, მის ბედზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების მთელი ჯაჭვია განსახილველი და ქალის განცდებიც, ამ მხრივ, პერსონაჟების მოქმედების განმაპირობებელ ფსიქიკურ შრეებს აჩვენებს, ეტიუდი „მელოს დღიურიდან“ ეთმობა ქალის განცდების გადმოცემას. ყოფის პატრიარქალური მოდელი კვებავს მთლიანად ახალგაზრდა ქალის გრძნობებს. მელო ნევროტულად განიცდის ასაკს, საკუთარ მარტოობას, უსიყვარულობას, სარკეში საგულდაგულოდ ეძებს ფიზიკურ ნაკლს, რომ ამით ახსნას მამაკაცების უყურადღებობა, თუმცა სარკეში საკუთარ მშვენიერ სხეულს აღმოაჩენს და ოცნებობს ცხადად განიცადოს ის სიამოვნება, რაც სიზმარში იგრძნო. „ნუ თუ სამუდამოდ ასე მარტო, გაუხარებლივ სახლში უნდა დავრჩე!“ (არაგვისპირელი 1947: 255). გენდერის მკვლევრების მიხედვით, „პატრიარქალური მენტალიტეტის პირობებში გარეგნობა ქალს სჭირდება არა თავისთვის, არამედ მამაკაცის მოსაპოვებლად, ამდენად, ხშირად მისთვის არსებითია არა რეალური სილამაზე, არამედ სოციუმისგან მისი აღიარების ხარისხი“ (გოგსაძე 2015: 206). მართალია,

ტექსტში სარკე ქალის სილამაზეს აირეკლავს, თუმცა ეს ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს მის შიშს, რაც კარგად აჩვენებს ქალის სოციალური თვითდამკვიდრების ქორწინებით განსაზღვრულობას, როგორც ერთადერთ შესაძლებლობას საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოს თავი, „გაიხაროს“. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ყურადღებას იქცევს ესთეტიკური თვალსაზრისითაც, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მწერალმა მხატვრული განსახოვნების (შესაბამისად, განსჯის) საგნად აქცია სიყვარულისა და ქორწინების პრობლემასთან დაკავშირებული განცდები ფემინისტური პერსპექტივიდან.

პროზაიკოსის შემოქმედებაში ცალკე დგას არაჩვეულებრივი ოსტატობით შექმნილი „გიული“, რომელშიც ნაჩვენებია მთიელთა ტრადიციული ადათითა და სარწმუნოებრივი იდეოლოგიით განპირობებული ქორწინების მძიმე და ძალადობრივი ხასიათი, ასეთ ქორწინებაში მყოფი ქალის მონური მდგომარეობა თავისი ტრაგიკული ხვედრით. ამ გზით, არაგვისპირელი ამ დოგმების რღვევაზეც და შეცვლის აუცილებლობაზეც ერთდროულად აკეთებს აქცენტს.

ნოველისტი, ასევე, წამოჭრის ქორწინების გარეშე შვილის გაჩენის საკითხს და აჩვენებს საზოგადოების სასტიკ დამოკიდებულებას ამგვარი შემთხვევების მიმართ („ბეჩა, რადა მკლავ?!“). არა მარტო უმძიმესია მდგომარეობა იმ მიტოვებული ქალისა, ბავშვს რომ ელოდება, არამედ იმდენად აუტანელია საზოგადოების ზეწოლა და მორალური წნეხი, ფიქრში მაინც, პოტენციურ მკვლელად აქცევს მომავალ დედას. „სამაგლებს მოუგონიათ რაღაც კანონები და თუ ამ კანონების ასრულების შემდეგ ეყოლათ შვილი, ყველა ულოცავს, თუ არა და ჰქოლავს, თითქოს იგეთივე ბავშვი არ ებადებოდეთ“ ... (არაგვისპირელი 1947: 258), – ფრინველების გალობაში გაგონილი ეს სიტყვები ცხოველთა სამყაროს უფრო ჰუმანურად წარმოსახავს, ვიდრე თვალთმაქც სატრფოსა და ფარისევლობით სავსე საზოგადოებას, რომელიც ზნეობრივი იმპერატივით ფარავს თავის არაერთ მანკიერებას.

გენდერული პრობლემის ჭრილში მაშინდელი საზოგადოებისათვის დამახიასიათებელ არაერთ საგულისხმო მარკერს ავლენს ის ნაწარმოებები, რომლებიც ქორწინებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის, ღალატისა და ერთგულების თემაზეა დაწერილი. ამ ნოველებში გაკრიტიკებულია მომხმარებლური და ანგარიშიანობაზე დაფუძნებული ადამიანური ურთიერთობები, ფარისევლობით სავსე სოციუმი. თვითდამკვიდრების მახინჯი, ზნეობრივი არსისაგან დაცლილი და მოჩვენებითობაზე დამყარებული ხორციელი ლტოლვა აისახა ნოველაში „...მხრები-და ავიჩქე...“, რაც, ასევე, მიწინაა იმ საფრთხეებისა, რომელსაც ქმნის თავისუფლებისა და თანას-

წირობის არასწორი გაგება, თუ ის მთლიანად იცლება ზნეობრივ-მორალური შინაარსისაგან.

აღსანიშნავია, რომ, როდესაც არაგვისპირელს ქალისა და მამაკაცის სიყვარული მორალურ პლანში გადააქვს, ის თანაბრად ეხება ორივე სქესს, ქალაქისა და სოფლის ტოპოსებს, აქვე თავს იჩენს მწერლის ნიჰილისტური მსოფლხედვა, რომ გულწრფელობა არ არსებობს, გრძნობაშიც სიყალბე და სარგებლის მიღების სურვილი ჭარბობს, რომ იდეალური სიყვარული პოეტების მოგონილია (მაგ. „ქარი-კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „...ხითხითებს და ხითხითებს...“, „...მხრები-ღა ავიჩეჩე...“, „ბალღი ყოფილ-ხარ!“, „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ“, „...სულ ერთია!..“, „წერილის ნაგლეჯი“), თუმცა არაგვისპირელი ავტორია ამავე პერიოდში დაწერილი ისეთი ნოველებისა, რომლებშიც ქალისა და ვაჟის სიყვარული ყოველგვარი დაბრკოლების დამძლევე ძლიერ გრძნობადაა წარმოსახული („ის“, „ორი მკურნალი“). ბუნებრივია, ეს თემები ზოგადადამიანურ ფენომენთანაგაა დაკავშირებული და მისი მხატვრული რეპრეზენტირების ასპექტები მრავალი რაკურსით შეიძლება იქნას შესწავლილი.

შიო არაგვისპირელი, XIX-XX საუკუნეების მიჯნის სხვა ავტორებთან (ეგ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, ევ. გაბაშვილი ...) ერთად, უსამართლო სოციუმზე, ადამიანის დეჰუმანიზაციის მტკივნეულ თემაზე წერისას აქცენტებს საგანგებოდ მიმართავს ქალთა მიმომე მდგომარეობისა და ამ უკანასკნელის განმაპირობებელი ფაქტორებისაკენ, გვიქმნის წარმოდგენას საზოგადოებაში არსებული გენდერული ცნობიერებისა და სოციუმში ფეხმოკიდებული სტერეოტიპების შესახებ, ამასთან, მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიზმით განასახოვნებს იმ სირთულეებს, რომლებიც პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებობს. არაგვისპირელი გენდერული უთანასწორობის, ქალთა დისკრიმინაციის (ეკონომიკური, სოციალური, პიროვნული) ჩვენებით დამკვიდრებული შეხედულებების რღვევას, კრიტიკულად განსჯასა და განსხავებულ რეფლექსირებას უწყობს ხელს. ის ფაქტი, რომ გენდერული საკითხი თავისთვად სოციალური თუ წოდებრივი უთანასწორობის, უსამართლობის პრობლემებს ეჯაჭვება, საზოგადოებრივი პროგრესის გარეშე მისი გადაჭრის შეუძლებლობასაც ნათელს ხდის, ამასთანავე, გამოკვეთს მასკულინურსა და ფემინურს შორის არსებულ იმ თანდაყოლილ შინაგან წინააღმდეგობებსაც, რომელიც მუდმივად აქტუალურად აქცევს საკითხს.

დამოწმებანი

- Aragvisp'ireli, Sh. *Tkhzulebata Sruli K'rebuli*. T'omi I. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota mts'erali“, 1947 (არაგვისპირელი, შ. *თხზულებათა სრული კრებული*. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1947).
- Aragvisp'ireli, Sh. *Tkhzulebata Sruli K'rebuli*. T'omi II. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota mts'erali“, 1947a (არაგვისპირელი, შ. *თხზულებათა სრული კრებული*. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1947a).
- Ch'avch'avadze, I. *Tkhzulebata Sruli K'rebuli At T'omad*. T'omi IV. Tbilisi: sakartvelos srsakhelmts'ipo gamomtsemloba, 1955 (ჩავჭავაძე, ი. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტომი IV. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955).
- Ch'avch'avadze, I. *Tkhzulebata Ak'ademiuri Gamotsema*. T'. X, Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“, 1988 (ჩავჭავაძე, ი. *თხზულებათა აკადემიური გამოცემა*, ტ. X, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988).
- Gogsadze, M. *He & Shi – „Maradiuli Dap'irisp'ireba?“ Ts'ignshi: Genderi, Kult'ura, Tanamedroveoba*, L. Gaprindashvili (red). Tbilisi: gamomtsemloba „dobera“, 2005 (გოგსაძე, მ. „*He & Shi – მარადიული დაპირისპირება?*“ წიგნში: *გენდერი კულტურა თანამედროვეობა*, ლ. გაფრინდაშვილი (რედ.), თბილისი: გამომცემლობა „დობერა“ 2005).
- Meskhi, S. *Tkhzulebani*. T'omi I. Tbilisi: gamomtsemloba „sabchota sakartvelo“, 1962 (მესხი, ს. *თხზულებანი*. ტომი I, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962).
- Nikoladze, N. *Tkhzulebani*. T'omi mesame. Tbilisi: gamomtsemloba „tsodna“, 1963 (ნიკოლაძე, ნ. *თხზულებანი*. ტომი მესამე. თბილისი: გამომცემლობა „ცოდნა“, 1963).
- Roi, U. G. 2007. „Genderi“ (Sazogadoebata Shekmna: Chveni Samq'aros K'onst'ruireba), E. K'akhadze (mtarg.). N. Berekashvili (sametsniero red.), Ts'ignshi *Genderis Sak'itkhavi Lit'erat'ura* (gv. 5-16). Tbilisi: sotsialur metsnierebata tsent'ri, 2007 (როი, უ. გ. „გენდერი“ (საზოგადოებათა შექმნა: ჩვენი სამყაროს ისტორიული კონსტრუირება), ე. კახიძე (მთარგ.), ნ. ბერეკაშვილი (სამეცნიერო რედ.), წიგნში: *გენდერის საკითხავი ლიტერატურა* (გვ. 5-16). თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2007).

Nestan Kutivadze
(Georgia)

Gender Aspects of Shio Aragvispireli's Stories

Summary

Key words: gender stereotypes, emancipation of women, Georgian literature.

Gender, which has changed from a grammatical term to a socio-cultural construct, is one of the indicators of the development of the society today. Besides, it is a topical scientific problem and is studied intensively from social, philological, economic, biological and various other perspectives. Gender theories developed considerably in XX century based on the studies by Simone de Beauvoir, Lévi-Strauss, Freud, Jacques Lacan, and other well-known scientists. These works cover philosophical, anthropological, psychological and historical aspects as well, and show the complexity and diversity of this issue, which is due to the fact that in this or that socio-economic and political system the stereotypes of female and male role models are closely linked to the values and cultural traditions of the society itself.

The perception of the social functions of men and women formed over the centuries was related to the images of women as weak creatures, caregivers, mothers, and of men – as strong creatures, protectors and leaders. Such determination of the historical roles of men and women reveals the masculine-feminine binarity, the inherently contradictory nature of this opposition.

In the second half of XIX century the issue of the status of women is particularly acute in America and Europe. At the same time, the discussions around the gender situation in Georgia can also be observed, which was the result of the spread of liberal views, socio-economic and cultural-educational changes in the society. The topic of equality between women and men is discussed in the publicist letters by famous Georgian figures of the second half of XIX century: Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Sergey Meskhi, Niko Nikoladze, etc. They respond to and argue with European thinkers, and consider the role of women and men to be equally important in the advancement of society and make the harsh reality the subject of criticism.

In the second half of XIX century, the issue of women's emancipation was directly related to women's education. Famous and less famous Georgian figures

agreed that personal freedom had to be based on education. In general, when writing about these problems, Georgian publicists and writers foresaw the difficulties that would arise as women became more active in the public arena. Georgian figures thought it was unfair that men and women did not have the equal rights. It is no coincidence that in his letter “Motherhood and Women's Education” Ilia Chavchavadze focuses on human education in general. According to Ilia, education helps both men and women to better define their duties, civic interests, state and family obligations.

Sergey Meskhi's famous letter – “What Have Women Lost and What Are They Looking for?” is significant in many ways. It is clear from the publication that the idea of equality between men and women is generally acceptable and no one opposes it, but it is not easy for women to overcome the existing inertia. The publicist draws attention to the extent of the stereotype established as a result of the gender perceptions characteristic of the society during that period.

The critical review of the famous publicist and public figure, Niko Nikoladze – “Our Writing” is noteworthy. The author makes a special mention of the Georgian women and highly evaluates the literary collection for reading translated and published by them. Niko Nikoladze attaches great importance to the role of fiction in changing public consciousness and advises Georgian women to translate works created on the theme of romantic love, because he believes that such works help men to overcome their animal instincts, women – to gain respect, change the way of family life, the relationship between a husband and a wife, children's fate.

Fiction not only participates in the change of public consciousness, first of all, it preserves the attitude, views, opinions characteristic of this society, describes their specific manifestations from different perspectives, creates a comprehensive picture to understand the character of this or that era, to grasp its essence.

The complexity of the inevitable and necessary process of changing the social role of women in the society, which is full of traditional, and often of false clichés, has been well demonstrated by the Georgian literature at the turn of XIX-XX centuries. The works of Georgian writers of this period reflected the stereotypes characteristic of the society at that time, which made a person subject to the will of others and did not identify him/her as an individual. In such a situation, gaining personal freedom by a woman, along with education, required courage as well.

One of the famous prose writers of the late XIX and the early of XX century, Shio Aragvispireli, depicts the lack of the values of the contemporary society through different artistic planes, always connecting to the essence of humanity, and the layers of a man's psyche. This viewpoint also encompasses the gender issue which is often

used by the writer to show discrimination against women and he presents it as a cornerstone of the moral dilemma. However, the writer never looks at it from only one perspective. In this case, he depicts the society of his time from many angles, brings forward the unfair nature of a number of existing stereotypical views.

In the stories by the writer, the gender issue is presented considering several aspects and artistically reflects the influence of the firmly established views in the society of those times on the life of an individual.

When writing on the painful topic of the unjust society, the dehumanization of a person Shio Aragvispireli, along with other authors at the turn of XIX-XX centuries (Eg. Ninoshvili, D. Kldiashvili, Ek. Gabashvili...), pays special attention to the plight of women and the factors leading to the latter, gives us an idea about the gender awareness and existing stereotypes in the society. At the same time, with his characteristic psychologism, he depicts the difficulties that exist in the patriarchal society. Aragvispireli promotes the breaking of established views, critical judgment and unique reflection through showing gender inequality and discrimination of women (economic, social, personal). The fact that the gender issue is linked to the problems of social and rank inequality and injustice makes it clear that it cannot be solved without social progress. At the same time, it highlights the inherent internal contradictions between masculine and feminine which contributes to the ongoing relevance of the issue.